



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 42

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 22 ივნისის N46 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

18 მაისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- 1 შევიდეს ცვლილება სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) დირექტორის 2016 წლის 22 ივნისის N 46 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 2. სამუშაო დრო, სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან წასვლის წესები

1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი..
2. ცენტრში დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით და 7 საათიანი სამუშაო დღე.
3. დასაქმებული ვალდებულია ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე დილის 11:00 სთ-ზე და დააფიქსიროს გამოცხადება ტაბელზე დროის დაფიქსირებით. სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებამ ჩაითვლება სამუშაო დღის დაწყებიდან 10-15 წუთზე გვიან ცენტრში მისვლა. მას შეუძლია ისარგებლოს კუთვნილი შესვენებით 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე. სამუშაო საათები ცენტრში სრულდება 18:00 სთ-ზე. თანამშრომელი ცენტრის ტერიტორიის დატოვებას აფიქსირებს ტაბელზე დროის დაფიქსირებით.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება ცენტრში მომუშავე მეცნიერ-თანამშრომლებსა და კონსულტანტებზე, ისინი ვალდებული არიან ყოველი თვის ბოლოს ხელმძღვანელს წარუდგინონ ანგარიში ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

5. ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც სხვა დაწესებულებაში ეწვევიან სამეცნიერო ან პედაგოგიური ხასიათის საქმიანობას ვალდებული არიან წარმოადგინონ შესაბამისი ცნობა.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი



ზაალ აბაშიძე